

ევროკომისია

ბრიუსელი

## ევროკომისიის ანგარიში ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის

### მესამე ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში

*(ქართულად თარგმნილია მხოლოდ შესავალი, ინფორმაცია საქართველოს შესახებ და დასკვნები)*

#### I. შესავალი

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია მიგრაციის, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სფეროებში მნიშვნელოვანი რეფორმების ამოქმედების ხელშეწყობას განაგრძობს და ნებისმიერი 180-დღიანი პერიოდის განმავლობაში 90 დღემდე ვადით მოგზაურობისას მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზის მოთხოვნის მოხსნის საშუალებით ადამიანებს შორის კავშირებს აადვილებს. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ასევე პასუხისმგებლობას გულისხმობს. მესამე ქვეყნებმა მუდმივად უნდა შეასრულონ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოთხოვნები და უსაფრთხოებისა და მიგრაციის კარგად მართვის პირობები ყოველთვის უზრუნველყონ. ეს ევროკომისიის ერთიან მიდგომას შეესაბამება, რომელიც მიგრაციისა და უსაფრთხოების ყველა ასპექტზე არის მიმართული.

ეს მესამე ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში გამომდინარეობს კომისიის ვალდებულებიდან გაუწიოს მონიტორინგი მესამე ქვეყნების მიერ ვიზების ლიბერალიზაციით გათვალისწინებული მოთხოვნების უწყვეტ შესრულებას და ანგარიში მისი შედეგების შესახებ წარუდგინოს ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ<sup>1</sup>. გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით, ანგარიში განაგრძობს იმ ქვეყნების დაფარვას, რომლებმაც სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგები წარმატებით დაასრულა. ანგარიშში არსებული სტატისტიკური მონაცემები ევროსტატის 2019 წლის მონაცემებს ასახავს, რომელიც 2018-2019 წლების შორის არსებულ ვარიაციას ითვალისწინებს. სადაც შესაძლებელია, ამ საკითხზე მიმართული პოლიტიკის მოვლენები განხილულ ქვეყნებში აღწერილია 2020 წლის ივლისამდე - ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდე. შეფასების პერიოდი 2018 წლის 17 დეკემბერს სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში მეორე ანგარიშის<sup>2</sup> მიღებიდან იწყება (რომელიც "მეორე ანგარიშად" იქნება მოხსენიებული). ეს ანგარიში განაგრძობს კონკრეტულ სფეროებზე<sup>3</sup>

<sup>1</sup> 2018 წლის 14 ნოემბრის ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტის 2018/1806 დებულების მე -8 მუხლის მე -4 პუნქტის მიხედვით ჩამოთვლილი მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ვიზები გარე საზღვრების გადაკვეთისას და რომელთა მოქალაქეები არიან ამ მოთხოვნისგან გათავისუფლებულები, OJ L 303, 28.11.2018, გვ. 39.

<sup>2</sup> COM (2018) 496 საბოლოო.

<sup>3</sup> ევროკომისია ასევე განაგრძობს შინაგანი საქმეებისა და მართლმსაჯულების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებას, რომელიც ასევე რელევანტურია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის

ყურადღების გამახვილებას, სადაც საჭიროა შემდგომი ქმედებები მიღწეული პროგრესის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, ეს ეხება არალეგალურ მიგრაციას, თავშესაფრის მოთხოვნებს და რეადმისიას, საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას (მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულს, კორუფციასთან ბრძოლას, კანონის აღსრულებას და ფულის გათეთრებასთან ბრძოლას). შესაბამისად, როგორც უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში პირველი ანგარიშის შემთხვევაში, ამ ანგარიშში ნახსენები არ არის ის ნიშნულები და ვალდებულებები, რომლებიც სტაბილურად სრულდება.

მარტის შუა რიცხვებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და პარტნიორ ქვეყნებში COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების შემოღების შემდეგ, მიმოსვლა დასავლეთ ბალკანეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა. პარტნიორ ქვეყნებში შემზღუდველი ზომების უმეტესი ნაწილი შემდგომ მოიხსნა. 2020 წლის 11 ივნისს კომისიამ მიიღო კომუნიკაცია, რომელიც ევროკავშირში არაარსებით მოგზაურობაზე დროებითი შეზღუდვის<sup>4</sup> გამოყენებას აფასებს. რაც შეეხება ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს, კომისიამ გამოთქვა მზადყოფნა დასავლეთ ბალკანეთის<sup>5</sup> რეგიონი COVID-19-ის შემაკავებელი ზომების მოხსნის ევროპის ერთობლივ გზამკვლევს მჭიდროდ დაუკავშიროს. ამის შემდეგ, 2020 წლის 30 ივნისს საბჭომ მიიღო რეკომენდაცია შემომავალ არაარსებით მოგზაურობაზე მიმოსვლის შეზღუდვის თანდათანობით მოხსნის შესახებ, მათ შორის პირველი 15 ქვეყნისთვის (ამ სიაში მოხვდა საქართველო, ჩერნოგორია და სერბეთი). რეკომენდაცია პირველი ნაბიჯია შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით იგი კომისიის მიერ შემოთავაზებულ ეტაპობრივ მიდგომას მოჰყვება.

ანგარიშს თან ახლავს **სამუშაო დოკუმენტი ევროკომისიის თანამშრომლებისთვის**, რომელიც უფრო დეტალურად განიხილავს ინფორმაციასა და მიმდინარე პროცესს კონკრეტულ სფეროებში.

## II. კონკრეტული სფეროების შეფასება ვიზა ლიბერალიზაციის ნიშნულების შესაბამისად

### II. 2 აღმოსავლეთ პარტნიორობა

#### საქართველო

#### **არალეგალური მიგრაცია, თავშესაფრის მოთხოვნები და რეადმისია**

2018 – დან 2019 წლამდე პერიოდში შენგენ+ ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარის თქმის საერთო რაოდენობა 17% -ით გაიზარდა (3,805

---

ვალდებულებების შესრულებასა და ნიშნულებთან მიმართებაში ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ფარგლებში უვიზო რეჟიმის მქონე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის კი შესაბამისი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ფარგლებში.

<sup>4</sup> COM(2020) 399 საბოლოო

<sup>5</sup> კომისიის კომუნიკაცია დასავლეთ ბალკანეთის მხარდაჭერასთან დაკავშირებით COVID-19 დაძლევისა და პანდემიის შემდგომი აღდგენის საკითხებში (COM (2020) 315 საბოლოო).

- დან 4,435 - მდე). ასევე 26% -ით გაიზარდა უკანონოდ დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა (9,400 - დან 11,845 - მდე). საქართველოს მოქალაქეების მიერ შენგენის + ზონის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნათა რაოდენობა 9% -ით გაიზარდა, 2019 წელს შეტანილი იყო 21.570 განაცხადი, 2018 წელს კი - 19,730 განაცხადი. ზედიზედ მესამე წელია, თავშესაფრის მოთხოვნათა რაოდენობის მხრივ საქართველო კვლავ წამყვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნებს შორის. 2019 წელს თავშესაფრის მინიჭების მაჩვენებელი 4.1% -მდე შემცირდა (2018 წლის 4.7% -თან შედარებით). 2020 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა 3,795 თავშესაფრის განაცხადი, რაც 42% -ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

რაც შეეხება რეადმისიის საკითხზე თანამშრომლობას, დაბრუნების მაჩვენებელი შემცირდა. 2019 წელს დაბრუნების მაჩვენებელი 52% -მდე შემცირდა (2018 წელთან შედარებით 65%), ეფექტიანად მოხდა საქართველოს 8,520 მოქალაქის დაბრუნება. რადგან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები რეადმისიასთან დაკავშირებით კარგ თანამშრომლობას აღნიშნავენ, დაბრუნების მაჩვენებლის შემცირება არ უნდა აღიქმებოდეს როგორც არადაამკმაყოფილებელი მუშაობა ან ცვლილებები თანამშრომლობის პროცესში.

ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველომ რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა (RCMS) შეიმუშავა. ამ სისტემას ამჟამად 17 წევრი ქვეყანა იყენებს, რომელიც მისი გამოყენებით კმაყოფილია და განსაკუთრებით აფასებს საქართველოს მიერ განაცხადების დროულ განხილვას. რეადმისიის მოთხოვნებზე დადებითი პასუხების მაჩვენებელი არის 98%. ამ სისტემას სხვა მესამე ქვეყნებისთვის ხშირად საუკეთესო პრაქტიკისა და ტექნოლოგიების მაგალითად მოიხსენიებენ.

საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და შენგენის ასოცირებულ ქვეყნებში თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნები კვლავ აქტუალური საკითხია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიმდინარე და არსებით ძალისხმევას მოითხოვს. თავშესაფრის მოთხოვნები ხშირად ბოროტად გამოიყენება ევროკავშირში სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს პრობლემის მოგვარებას და ევროკომისიასთან, იუსტიციის და შინაგან საქმეთა უწყებებთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად ოპერატიული ქმედებების კომპლექსის შემოღებაზე მუშაობს. ეს ქმედებები მიზნად ისახავს იმ გამოწვევების შემცირებას, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ არალეგალურ მიგრაციასა და დანაშაულებს ეხება. უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ბოროტად გამოყენების გასაჩერებლად, საქართველომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რაც, საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ უკანონო ყოფნის ხელშეწყობისთვის და ასევე საერთაშორისო დაცვის (მაგალითად, თავშესაფრის) მოპოვების მიზნით გაყალბებული ინფორმაციის მოწოდებაში დახმარებისთვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველომ აიღო ვალდებულება კიდევ უფრო შეეზღუდა გვარების შეცვლის პროცედურა (რაც 2018 წელს უკვე შეიზღუდა). 2019 წლის ნოემბერში საქართველომ მიიღო ცვლილებები კანონში „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, რომლითაც შემოიღო უფრო მკაცრი რეგულაციები და

უფრო მკაფიო კრიტერიუმები, იმის გადასაწყვეტად, შეიძლება თუ არა მსჯავრდებულმა დატოვოს ქვეყანა.

საზღვრის მართვის სფეროში, საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობა გააძლიერა. ევროკავშირის აეროპორტებში საქართველოდან ჩამოსული არალეგალური მიგრანტების ნაკადის შესამცირებლად, ფრონტექსმა, საქართველოს ხელისუფლებასთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად 2019 წლის გაზაფხულზე ერთობლივი ინიციატივა (Joint Activity) ამოქმედდა. მის ფარგლებში ფრონტექსის ექსპერტები საქართველოს საპატრულო პოლიციის დასახმარებლად ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გაიგზავნენ. აეროპორტებში ექსპერტებს საქართველოს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის უნდა გაეწიათ კონსულტაცია საქართველოს მოქალაქე მგზავრების შენგენის ზონაში გამგზავრების დაშვებასთან დაკავშირებით. ამის პარალელურად, 2019 წელს და 2020 წლის დასაწყისში, ოთხი პოლიციელი საქართველოდან ყოველთვიურად ევროკავშირის განსაზღვრული წევრი სახელმწიფოების აეროპორტებში იგზავნებოდა, რათა დამკვირვებლების სტატუსით ადგილობრივ მესაზღვრეებს დახმარებოდნენ. ამჟამად COVID-19- ის პანდემიის გამო ეს ოპერაცია შეჩერებულია.

2020 წლის ივნისში, კომისიამ ფრონტექსსა და საქართველოს შორის ახალი სამუშაო შეთანხმება დაამტკიცა, რომელიც მოიცავს უკანონო მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სასაზღვრო მენეჯმენტის სფეროში დაბრუნების ჩათვლით, ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაცვლას და ასევე რისკის ერთობლივი ანალიზის ჩატარებას ითვალისწინებს.

2019 და 2020 წლებში ევროკავშირის ექსპერტები ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) საშუალებით მივლინებულები იყვნენ საქართველოში, იმისთვის რომ ქვეყნის ხელისუფლებისთვის რჩევა მიეცათ საზღვრებზე გასვლის წინა შემოწმების ჩასატარებლად საკანონმდებლო ჩარჩოს საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს მთავრობამ სამი საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. მათგან მესამე სპეციალურად გამიზნული იყო თავშესაფრის პოტენციური მაძიებლებისთვის, რაც ხაზს უსვამს საქართველოს თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობას დაექვემდებაროს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წესებს.

COVID-19 კრიზისის შედეგად, საქართველომ 18 მარტს თავისი საზღვრები დახურა, ხოლო 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რომელიც 22 მაისს მოიხსნა. 21 მარტს ყველა კომერციული ფრენა 30 ივნისამდე გაუქმდა. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (და, ძირითადად, ევროკავშირიდან) ჩართებული სარეპატრიაციო ფრენების მეშვეობით 13000-ზე მეტი მოქალაქის რეპატრაცია მოახდინა.

### **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები საქართველოდან კვლავ აქტიურობენ შენგენ+ ზონაში და საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები საქართველოდან ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში თავიანთი საქმიანობა შეცვალეს და სახლების მარცვებიდან მაღაზიების ორგანიზებულ მარცვებზე გადავიდნენ. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი თავიანთი საქმიანობისთვის სხვა ქვეყნებში წავიდა, რაც შესაძლოა, გარკვეულწილად ბოლო წლებში ევროკავშირის ბევრი წევრი სახელმწიფოს ორგანიზებულ დანაშაულთან გასამკლავებლად გაზრდილი ძალისხმევის გამო მოხდა. გარდა ამისა, უვიზო რეჟიმის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის რამდენიმე წევრმა ქვეყანამ განაცხადა, რომ დაპატიმრებულ კრიმინალთა შორის გაიზარდა საქართველოდან შემოსული თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი.

კიბერდამნაშავეები საქართველოდან ჩართულები იყვნენ საერთაშორისო GozNym კრიმინალურ ქსელში, რომელიც 2019 წლის მაისში ევროპის პოლიციის სამსახურის (Europol)<sup>6</sup> მიერ მხარდაჭერილი საერთაშორისო სამართალდამცავი ოპერაციის შედეგად იყო ლიკვიდირებული.

საქართველომ გაამყარა საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობა ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) და ევროკავშირში საქართველოს პოლიციის ატაშეების ქსელი გააძლიერა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის (2017-2020) ახლახანს მიღებული სამოქმედო გეგმის (2019-2020) ფარგლებში, საქართველომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა. იგი ასევე აგრძელებს დანაშაულის ანალიზის თანამედროვე მექანიზმების გაძლიერებას ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობის თანდათანობითი დანერგვის გზით.

საქართველო ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელებას აგრძელებს 2019-2020 წლების ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის საშუალებით, რომელიც სხვადასხვა სფეროში (მართლმსაჯულება, კერძო სექტორი, პოლიტიკური კორუფცია, შესყიდვები და ა.შ.), ანტიკორუფციულ პრიორიტეტებს ასახავს და ასევე საერთაშორისო წარმომადგენლების რეკომენდაციებს ითვალისწინებს. თუმცა მაღალი დონის კორუფციასთან დაკავშირებული შემოფოთება კვლავ არსებობს.

*ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, საქართველომ მეორე ანგარიშით განსაზღვრული ქმედებები განახორციელა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ნიშნულების შესრულება გრძელდება. დაბრუნების მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, რეადმისიასთან დაკავშირებული კარგი თანამშრომლობა გაგრძელდა და უნდა შენარჩუნდეს. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იყო კონკრეტული ზომები არალეგალურ მიგრაციასთან და დანაშაულთან დაკავშირებული გამოწვევების მოსაგვარებლად, საჭიროა შემდგომი*

---

<sup>6</sup> კრიმინალურმა ქსელმა გამოიყენა GozNym ვირუსული პროგრამები, რომლის საშუალებით ცდილობდა 100 მილიონი აშშ დოლარის მოპარვას 41 000-ზე მეტი დაზარალებულისგან, პირველ რიგში, ბიზნესებიდან და მათი ფინანსური ინსტიტუტებიდან.

*დაუყოვნებლივი ქმედებები ამ პრობლემების გადასაჭრელად, განსაკუთრებით, თავშესაფრის მოთხოვნის უსაფუძვლო განაცხადების მზარდი რაოდენობის მიმართებაში.*

**დამატებით ყურადღებას შემდეგი სფეროები საჭიროებს:**

- ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება შენგენ+ ზონაში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის უსაფუძვლო განაცხადების სწრაფი შემცირების მისაღწევად და შესანარჩუნებლად; კერძოდ, უფრო სისტემური გზით ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, რაც ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნათა ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია;
- სასაზღვრო შემოწმებების გაძლიერება და გაუმჯობესება, განსაკუთრებით საერთაშორისო აეროპორტებში, დაბალფასიანი ფრენებისთვის, ფუნდამენტური უფლებების და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების სრული გათვალისწინებით;
- უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით არსებული უფლებისა და ვალდებულებების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ორგანიზების გაგრძელება;
- ტრანსსასაზღვრო სამართალდაცვითი თანამშრომლობის გაძლიერების გაგრძელება საქართველოდან ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან საბრძოლველად; ამ პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის რეფორმის დასრულების პრიორიტეტიზაცია.

### **III. დასკვნები**

ევროკომისია თვლის, რომ წინამდებარე ანგარიშში და თანდართულ სამუშაო დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, შეფასებული ქვეყნები სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოთხოვნების შესრულებას განაგრძობენ. ეს ანგარიში განსაზღვრავს შემდგომ ქმედებებს, რომელთა განხორციელება ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დაუყოვნებლივ, კონკრეტულ სფეროებში ნიშნულების უწყვეტი შესრულების უზრუნველსაყოფად.

COVID-19–ის გამოწვევაზე ფართო რეაგირების ფარგლებში ევროკომისია გადაამისამართებს დახმარებას გაწევრიანებამდელი დახმარების პროგრამიდან (Instrument for Pre-accession Assistance) და ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან (European Neighbourhood Instrument) დასავლეთ ბალკანეთის და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის გადაუდებელი საჭიროებებისთვის და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან გასამკლავებლად. პანდემიის დაწყებიდან დასავლეთ ბალკანეთის და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებმა სხვადასხვა ზომები მიიღეს და მათი მოქალაქეების რეპატრიაცია მოახდინეს, მათ შორის შენგენის + ზონის ქვეყნიდან.

ალბანეთისა და საქართველოს შემთხვევაში თავშესაფრის უსაფუძვლო განაცხადების რაოდენობა კვლავ შემოფოთებას იწვევს. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო აღნიშნავს ისეთ მოვლენას, როგორცაა თავშესაფრის მოთხოვნა ევროკავშირში სამედიცინო დახმარების

მისაღებად (განსაკუთრებით ეს საქართველოს მოქალაქეებს ეხება). აღინიშნება არალეგალური მიგრაცია უკრაინიდან, სერბეთიდან და ბოსნია და ჰერცეგოვინიდან. ალბანეთის მოქალაქეების არალეგალური მიგრაცია კვლავაც მაღალია. დასავლეთ ბალკანეთის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა განაგრძეს ზომების მიღება არალეგალური მიგრაციის გამოწვევების მოსაგვარებლად, მაგრამ მეტი ძალისხმევაა საჭირო შედეგების გაუმჯობესებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დასავლეთ ბალკანეთის ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით ბოსნია და ჰერცეგოვინაში) მიღების არასაკმარისი შესაძლებლობები არალეგალური მიგრაციის გამოწვევებთან სრული გამკლავების უნართან დაკავშირებულ შემფოთებას იწვევს. დაბრუნების მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, თანამშრომლობა რეადმისიისა და დაბრუნების საკითხებზე შეუფერხებლად გრძელდება დასავლეთ ბალკანეთის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანასთან. თუმცა, უნდა შენარჩუნდეს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებისა და რეადმისიის სტაბილური მაჩვენებელი, ხოლო მესამე ქვეყნის მოქალაქეების რეადმისია უნდა გაუმჯობესდეს, განსაკუთრებით დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მიერ.

ევროკავშირის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ დარჩენილი შეთანხმებების სწრაფ დასრულებას და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის უკეთეს მართვას, თუმცა მათი საზღვრების მართვის მთავარი პასუხისმგებლობა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს ეკისრება.

კარგად მართული მიგრაციისა და უსაფრთხო გარემო ნიშნულების უწყვეტი შესრულების ძირითადი პირობაა და მის უზრუნველსაყოფად კომისია უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ყველა ქვეყანას **ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან სრული შესაბამისობისკენ მოუწოდებს.**

დასავლეთ ბალკანეთის და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებმა განაგრძეს ზომების მიღება ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. თუმცა, საჭიროა ამ ძალისხმევის შენარჩუნება და გაძლიერება. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ამ ქვეყნებიდან აქტიურად არიან ჩართულნი დანაშაულებრივი ქმედებების ფართო სპექტრში, რაც მოიცავს აკრძალული ცეცხლსასროლი იარაღით და სხვადასხვა აკრძალული საქონლით (კერძოდ, ნარკოტიკებით და თამბაქოთი) ვაჭრობას, საკუთრების ხელყოფას, ავტომობილებთან დაკავშირებულ დანაშაულს, ფულის გათეთრებას, ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს)<sup>7</sup>, მიგრანტთა კონტრაბანდას და კიბერდანაშაულს.

---

<sup>7</sup> ადამიანებით ვაჭრობა სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის უაღრესად მომგებიან ფორმად რჩება, რაც გამოწვეულია მაღალი მოგებით და მოთხოვნილებით, რომელიც ექსპლუატაციის ყველა ფორმას ხელს უწყობს. ტრეფიკინგისთვის საზღვრების გადაკვეთა საჭირო არ არის და მსხვერპლთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ტრეფიკინგი ქვეყნების ეროვნულ საზღვრებში, მათ შორის ევროკავშირში ხდება. ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის ძალისხმევა გრძელდება. მთავარია, რომ ყველა მსხვერპლმა, მათ შორის ვისი ტრეფიკინგის ეროვნულ

მაღალი დონის კორუფცია ამ ანგარიშით მოცულ ყველა ქვეყანაში კვლავ აქტუალური საკითხია. ანგარიშში, წინა წლების მსგავსად, აღნიშნულია, რომ ანტიკორუფციული ნიშნულის შესასრულებლად მოლდოვასთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუყოვნებელი ნაბიჯების გადადგმა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი პრემიერ – მინისტრის მაია სანდუს მთავრობამ გარკვეული მნიშვნელოვანი ქმედებები განახორციელა, საჭიროა, რომ მოლდოვას ახალმა მთავრობამ ეს ძალისხმევა შეინარჩუნოს. რეფორმების პროცესი უკრაინაში - განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით - მიმდინარეობს და მოსალოდნელია შემდგომი წინსვლა.

2018 წლის 5 ოქტომბერს დამტკიცდა ევროკავშირისა და დასავლეთ ბალკანეთის ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივი სამოქმედო გეგმა. ერთი წლის შემდეგ დასრულდა მოლაპარაკება და ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებებს დასავლეთ ბალკანეთის ყველა ქვეყანასთან. აღნიშნული ორმხრივი შეთანხმებები მნიშვნელოვან ნიშანსვეტს წარმოადგენს, რომელიც უსაფრთხოების პრიორიტეტული სფეროების განხილვის საშუალებას იძლევა; მათ შორის არის რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველა ფორმის პრევენცია და უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათი ოჯახების დაბრუნებასთან დაკავშირებული გამოწვევები. მუშაობა ამ მიმართულებით აქტიურად უნდა წარიმართოს.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ნიშნულების განხორციელება უწყვეტი და მიმდინარე პროცესია. შესაბამისად, მისი მონიტორინგი გაგრძელდება, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების, და ასევე მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის რეგულარული შეხვედრების საშუალებით და ევროკავშირსა და უფიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნებს შორის დიალოგის გზით; რაც შეეხება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს, წარმოდგენილი იქნება რეგულარული ანგარიშები გაფართოებასთან დაკავშირებით, და სადაც რელევანტურია, მოლაპარაკებები ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

---

საზღვრებში მოხდა, სათანადო დახმარება და მხარდაჭერა მიიღოს, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაზარალებულთა უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან და მათი ტრეფიკინგი ძირითადად სექსუალური ექსპლუატაციისთვის ხორციელდება. ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ნებისმიერი მოქმედების ცენტრში უნდა იყოს პრევენცია, მიმართული ყველა დამნაშავეთა დაუსჯელობის წინააღმდეგ, რადგან დაუსჯელობა დანაშაულს ხელს უწყობს.